საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი

კურსის სახელწოდება: **CorelDRAW X5/X6**

კურსის მოცულობა: 15 საათი

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: ლელა მაისურაძე

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: სტუდენტები, დიზაინერები, ფოტოგრაფები, მხატვრები, web–დიზაინერები, პროგრამის სიღრმისეულად შესწავლის მსურველები.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:

მსმენელს უნდა გააჩნდეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში საბაზო კომპეტენციები. გამომუშავებული უნდა ჰქონდეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები მომხმარებლის დონეზე და შეეძლოს ელემენტარული ტექნიკური პრობლემების გამოსწორება ოპერაციულ სისტემა MS Windows-ის საბაზო ცოდნით.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

სასწავლო კუსის მიზანია სტუდენტები სრულყოფილად დაეუფლონ ვექტორულ ობიექტებთან მუშაობის სპეციფიკას, შეძლონ ობიექტების შექმნა, ტრანსფორმირება და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი სტილიზაციის მეთოდები; გრაფიკული რედაქტორების ძირითადი ელემენტების: შრეების, არხების, ნიღბებისა და ფილტრების დანიშნულება და მათი მუშაობის პრინციპები; შაბლონების, ბუკლეტების, ფლაერების, პლაკატების, სარეკლამო ბანერების, სავიზიტო ბარათების და სხვა პოლიგრაფიული ნამუშევრების დიზაინის შემუშავება და ბეჭდვისათვის მომზადება.

მონაწილეთა შეფასების სიტემა:

შეფასება მოხდება ნამუშევრების (პორტფოლიოს) წარმოდგენის შედეგად.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

კურსის წარმატებულად გავლის შედეგად მსმენელი მიიღებს სერტიფიკატს.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

#	სესიების თემები	საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის	ლიტერატურა
1	პროგრამის გაცნობა: ინტერფეისი, ინსტრუმენტების და ფერთა პალიტრები; კონტურები და ფიგურები, ფერები;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
2	ფერთა ჩასხმები: ერთფეროვანი, გრადიენტული, ნიმუშით, ტექსტურული. მათი მახასიათებლების ცვლა;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
3	ინსტრუმენტები Shape Tool ჩანართში; ხატვის ინსტრუმენტები: თავისუფალი ხატვა, ბეზიე, ტეხილი, მხატვრული ფუნჯები, კალამი, მათი თვისებები;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
4	რამდენიმე ობიექტის მეშვეობით ახალი ობიექტების შექმნა. ობიექტების შედუღება, გადაკვეთა, გამოკლება;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
5	ინტერაქტიური კონტური, ფიგურების ურთიერთგადასვლა ინსტრუმენტით Blend;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
6	ბრტყელი ფიგურისაგან მოცულობითის შექმნა, ინსტრუმენტი Extrude;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
7	ჩრდილები Drop Shadow; Envelope; გამჭვირვალობა Transparency;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
8	ტექსტთან მუშაობის ტექნოლოგია, განლაგება ტრანსფორმაცია.	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
9	შაბლონები და სტილები; ტრანსფორმაციის დოკერები; რასტრული და ვექტორული გრაფიკა, რედაქტირება ვექტორული ობიექტების, ფენები, სპეციალური ეფექტები;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.
10	წერტილოვან გამოსახულებებთან მუშაობა ქორელში, განყოფილება Bitmap; ლოგოს შექმნა. ვექტორული ილუსტრაციის შექმნა;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრო ვერსია.

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:

პერსონალური კომპიუტერებითა და ვიდეო პროექტორით აღჭურვილი ლაბორატორია.